

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასისტენტ პროფესორების სამსახურში მისაღებად რექტორის 2024 წლის 4 ივნისის № 142/01-01 ბრძანების საფუძველზე მათემატიკის დეპარტამენტის მათემატიკური ანალიზის, ალგებრა-გეომეტრიისა და მექანიკის კათედრებზე გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2024 წლის 28 ივნისის № 70/2024 დადგენილების პუნქტი 5-ის საფუძველზე დამტკიცებული საკონკურსო კომისიის სხდომის

ოქმი № 3 (შემაჯამებელი)

ქ. თბილისი

24 ივლისი, 2024 წ.

14:00 სთ, თსუ XI კორპ. ოთახი #324

სხდომას კომისიის ხუთი წევრიდან ესწრებოდა ოთხი წევრი:

1. მალხაზ ბაკურაძე - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);
2. თინათინ დავითაშვილი - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (კომისიის მდივანი);
3. თამაზ თადუმაძე - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი;
4. თენგიზ კოპალიანი - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.

დღის წესრიგი:

1. თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მათემატიკის დეპარტამენტის მათემატიკური ანალიზის, ალგებრა-გეომეტრიისა და მექანიკის კათედრებზე ასისტენტ პროფესორების სამსახურში მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების განხილვა, ურთიერთშეჯერება და შეჯამება.

მოისმინეს: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის, პროფესორ მალხაზ ბაკურაძის ინფორმაცია საკონკურსო კომისიის მიერ შეფასების ორივე ეტაპის და ფარული კენჭისყრის შედეგების განხილვის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებებისა და კონკურსის შედეგების შეჯამების შესახებ. მან აღნიშნა, რომ საკონკურსო დოკუმენტაცია იყო დალუქულ მდგომარეობაში და კანდიდატის საკონკურსო დოკუმენტაციის ლუქებისა და შეფუთვის სიმთელე დარღვეული არ იყო.

მათემატიკის დეპარტამენტის მათემატიკური ანალიზის კათედრაზე ასისტენტ პროფესორის ორი საკონკურსო თანამდებობის დასაკავებლად საბუთები შემოიტანა ორმა კანდიდატმა - ანა დანელიამ (“ა” კატეგორიაზე) და გივი ნადიბაიძემ (“ბ” კატეგორიაზე);

მათემატიკის დეპარტამენტის ალგებრა-გეომეტრიის კათედრაზე ასისტენტ პროფესორის ერთი საკონკურსო თანამდებობის დასაკავებლად საბუთები შემოიტანა ერთმა კანდიდატმა - რუსლან სურმანიძემ ("ა" კატეგორია);

მათემატიკის დეპარტამენტის მექანიკის კათედრაზე ასისტენტ პროფესორის ერთი საკონკურსო თანამდებობის დასაკავებლად საბუთები შემოიტანა ერთმა კანდიდატმა - მაია სვანაძემ ("ა" კატეგორია).

კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ მიმოიხილა თითოეული კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, გასაუბრებისა და კენჭისყრის შედეგები.

1. კონკურსანტი - ანა დანელია

კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ აღნიშნა, რომ კონკურსანტ ანა დანელიას განათლება, აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი (ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი - სამეცნიერო ხარისხი), რაც დასტურდება მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტით, სამსახურებრივი გამოცდილება, პედაგოგიური სტაჟი აკმაყოფილებს ვაკანსიისათვის წარდგენილ მოთხოვნებს. შესაბამისად, შეფასების I კატეგორიის (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიხედვით კონკურსანტმა ერთხმად მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს“.

შეფასების II კატეგორია (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან): კონკურსანტის პედაგოგიური გამოცდილება (2006 წლიდან დღემდე უკავია მათემატიკის დეპარტამენტის მათემატიკური ანალიზის კათედრის ასისტენტ პროფესორის თანამდებობა) და საერთო პედაგოგიური სტაჟი, სასწავლო-მეთოდური საქმიანობა (ბოლო 6 წლის განმავლობაში კითხულობდა 7 სასწავლო კურსს ბაკალავრიატში), სასწავლო კურსები, რომლებიც შეტანილია მათემატიკის დეპარტამენტის საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმის სავალდებულო საგნების ნუსხაში, ასევე ვაკანსიის პროფილის შესაბამისია. წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა სრულად შეესაბამება თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებს. ამდენად, II კატეგორიაში კონკურსანტმა ერთხმად მიიღო შეფასება „მაღალი“.

შეფასების III კატეგორია (სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობა): კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კონკურსანტს წარმოდგენილი აქვს 6 პუბლიკაცია იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში; სხვა მნიშვნელოვანი პუბლიკაციები - 4 (2011 წლიდან); კონკურსანტის ციტირების ინდექსია 10, h-ინდექსი - 2, g-ინდექსი - 1; მოხსენებები საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე ბოლო 6 წლის განმავლობაში - 5, საგრანტო პროექტში მონაწილეობა - 1. კონკურსანტის მიერ საკონკურსო კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილი სტატია შეფასდა, როგორც მაღალ სამეცნიერო დონეზე შესრულებული და დარგთან სრულ შესაბამისობაში მყოფი ნაშრომი. სამოტივაციო წერილში მიმოიხილულია კონკურსანტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა და განსაზღვრულია მისი შემდგომი განვითარების მიმართულებები. კონკურსანტის კვლევა და საგანმანათლებლო საქმიანობა მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან და მიზნად ისახავს მეცნიერთა მომავალი თაობის აღზრდას. შედეგად, საერთო შეფასება III კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით არის „მაღალი“.

IV კატეგორია (სხვა სახის აქტივობა - ბოლო 6 წელი): კონკურსანტის მიერ განხორციელებულია შემდეგი აქტივობები: კონკურსანტი არის მათემატიკის დეპარტამენტის

დოქტორანტების სემინარისა და კვლევითი პროექტის დაცვის კომისიის წევრი; საბაკალავრო ნაშრომების ხელმძღვანელი. ამდენად, საერთო შეფასება IV კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით არის „მაღალი“.

2. კონკურსანტი - გივი ნადიბაიძე

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კონკურსანტ გივი ნადიბაიძის განათლება, აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი (ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი), რაც დასტურდება მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტით, სამსახურებრივი გამოცდილება და პედაგოგიური სტაჟი აკმაყოფილებს მოთხოვნებს. შესაბამისად, შეფასების I კატეგორიის (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიხედვით კონკურსანტმა ერთხმად მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს“.

შეფასების II კატეგორია (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან): კონკურსანტის პედაგოგიური გამოცდილება (2006 წლიდან დღემდე ეკავა მათემატიკის დეპარტამენტის მათემატიკური ანალიზის კათედრის ასისტენტ პროფესორის თანამდებობა, მანამდე დოცენტი, უფროსი მასწავლებელი - 1989 წლიდან) და საერთო პედაგოგიური სტაჟი, სასწავლო-მეთოდური საქმიანობა (9 (მირითადი) სასწავლო კურსი ბაკალავრიატში, შეესაბამება ვაკანსიის პროფილს. კონკურსანტის მიერ წაკითხული სასწავლო კურსები, რომლებიც შეტანილია მათემატიკის დეპარტამენტის საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმის სავალდებულო საგნების ნუსხაში, ასევე ვაკანსიის პროფილის შესაბამისია. წარმოდგენილი 5 სილაბუსის შინაარსი და ფორმა სრულად შეესაბამება თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებს. ამდენად, II კატეგორიაში კონკურსანტმა ერთხმად მიიღო შეფასება „მაღალი“.

შეფასების III კატეგორია (სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობა): კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კონკურსანტს წარმოდგენილი აქვს 6 ნაშრომი იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში, 8 - სხვა მნიშვნელოვანი პუბლიკაციების გრაფაში; კონკურსანტის ციტირების ინდექსია - 18, h-ინდექსი - 3; ბოლო 6 წლის განმავლობაში საერთაშორისო კონფერენციებზე გაკეთებული მოხსენებები - 2, საგრანტო პროექტში მონაწილეობა - 1. კონკურსანტის მიერ საკონკურსო კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილი სტატია შეფასდა, როგორც მაღალ სამეცნიერო დონეზე შესრულებული და დარგთან სრულ შესაბამისობაში მყოფი ნაშრომი. წარმოდგენილ სამოტივაციო წერილში მიმოხილულია კონკურსანტის სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა, ასევე მისი აქტივობები უნივერსიტეტის მესამე მისიის ფარგლებში. კონკურსანტის კვლევა და საგანმანათლებლო საქმიანობა მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან და მიზნად ისახავს მეცნიერთა მომავალი თაობის აღზრდას. შედეგად, საერთო შეფასება III კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით არის „მაღალი“.

IV კატეგორია (სხვა სახის აქტივობა - ბოლო 6 წელი): კონკურსანტის მიერ განხორციელებულია შემდეგი აქტივობები: წლების განმავლობაში იგი იყო საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების დაცვის კომისიის წევრი; სახადასხვა დროს აკადემიური პერსონალის არჩევის საკონსურსო კომისიის წევრი. აღსანიშნავია, რომ გ.ნადიბაიძის საქმიანობა უნივერსიტეტის მესამე მისიის გაძლიერების მიმართულებით - იგი არის მათემატიკაში საქართველოს მოსწავლეთა ოლიმპიური გუნდის მწრთენელი და თანალიდერი. ამასთან, 2017-2020 წლებში იგი იყო განათლების სამინისტროს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების

პროგრამის გარე დაკვირვების ექსპერტი. აღნიშნული საქმიანობისთვის მან გაიარა წინასწარი გადამზადება 2014 წელს.

ამდენად, საერთო შეფასება IV კატეგორიის პირველი ნაწილის მიხედვით არის „მაღალი“, მეორე ნაწილის მიხედვით არის „მაღალი“.

3. კონკურსანტი - რუსლან სურმანიძე

კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ აღნიშნა, რომ კონკურსანტი რუსლან სურმანიძის განათლება, აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი (ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი), რაც დასტურდება მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტით, სამსახურებრივი გამოცდილება, პედაგოგიური სტაჟი აკმაყოფილებს ვაკანსიისათვის წარდგენილ მოთხოვნებს. შესაბამისად, შეფასების I კატეგორიის (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიხედვით კონკურსანტმა ერთხმად მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს“.

შეფასების II კატეგორია (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან): კონკურსანტის პედაგოგიური გამოცდილება (2006 წლიდან დღემდე უკავია მათემატიკის დეპარტამენტის ალგებრა-გეომეტრიის კათედრის ასისტენტ პროფესორის თანამდებობა) და საერთო პედაგოგიური სტაჟი, სასწავლო-მეთოდური საქმიანობა (ბოლო 6 წლის განმავლობაში კითხულობდა 6 სასწავლო კურსს ბაკალავრიატში), სასწავლო კურსები, რომლებიც შეტანილია მათემატიკის დეპარტამენტის საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმის სავალდებულო (5) და არჩევითი (1) საგნების ნუსხაში, ასევე ვაკანსიის პროფილის შესაბამისია. წარმოდგენილი სამი სილაბუსების შინაარსი და ფორმა სრულად შეესაბამება თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებს. ამდენად, II კატეგორიაში კონკურსანტმა ერთხმად მიიღო შეფასება „მაღალი“.

შეფასების III კატეგორია (სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობა): კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კონკურსანტს წარმოდგენილი აქვს 5 მნიშვნელოვანი პუბლიკაცია (2011 წლიდან); იგი არის 4 მეთოდური სახელმძღვანელოების თანაავტორი. კონკურსანტის ციტირების ინდექსია 11, h-ინდექსი - 2; სამეცნიერო კონფერენცია - 2, საგრანტო პროექტში მონაწილეობა - 1. კონკურსანტის მიერ საკონკურსო კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილი სტატია შეფასდა, როგორც მაღალ სამეცნიერო დონეზე შესრულებული და დარგთან სრულ შესაბამისობაში მყოფი ნაშრომი. სამოტივაციო წერილში მიმოხილულია კონკურსანტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა და განსაზღვრულია მისი შემდგომი განვითარების მიმართულებები. კონკურსანტის კვლევა და საგანმანათლებლო საქმიანობა მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან და მიზნად ისახავს მეცნიერთა მომავალი თაობის აღზრდას. შედეგად, საერთო შეფასება III კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით არის „მაღალი“.

IV კატეგორია (სხვა სახის აქტივობა - ბოლო 6 წელი): კონკურსანტის მიერ განხორციელებულია შემდეგი აქტივობები: წლების განმავლობაში კონკურსანტი იყო მათემატიკის დეპარტამენტის მაგისტრატურის მისაღები კომისიის წევრი; საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი. არის მეთოდური სახელმძღვანელოების თანაავტორი. ამდენად, საერთო შეფასება IV კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით არის „მაღალი“.

4. კონკურსანტი - მაია სვანაძე

კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ აღნიშნა, რომ კონკურსანტი მაია სვანაძის განათლება, აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი (მათემატიკის დოქტორი), რაც დასტურდება მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტით, სამსახურებრივი გამოცდილება, პედაგოგიური სტაჟი აკმაყოფილებს ვაკანსიისათვის წარდგენილ მოთხოვნებს. შესაბამისად, შეფასების I კატეგორიის (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიხედვით კონკურსანტმა ერთხმად მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს“.

შეფასების II კატეგორია (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან): კონკურსანტის პედაგოგიური გამოცდილება (2016 წლიდან დღემდე უკავია მათემატიკის დეპარტამენტის მექანიკის კათედრის ასისტენტ პროფესორის თანამდებობა) და საერთო პედაგოგიური სტაჟი, სასწავლო-მეთოდური საქმიანობა (ბოლო 6 წლის განმავლობაში კითხულობდა 7 სასწავლო კურსს, აქედან 5 ბაკალავრიატში და 2 მაგისტრატურაში), სასწავლო კურსები, რომლებიც შეტანილია მათემატიკის დეპარტამენტის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმის სავალდებულო/არჩევითი საგნების ნუსხაში, ასევე ვაკანსიის პროფილის შესაბამისია. წარმოდგენილი სილაბუსის შინაარსი და ფორმა სრულად შეესაბამება თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებს. ამდენად, II კატეგორიაში კონკურსანტმა ერთხმად მიიღო შეფასება „მაღალი“.

შეფასების III კატეგორია (სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობა): კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კონკურსანტს წარმოდგენილი აქვს 16 პუბლიკაცია იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში; სხვა მნიშვნელოვანი პუბლიკაციები - 14; კონკურსანტის ციტირების ინდექსია Google scholar: 306, h - 11; Scopus: 146, h - 8; WoS: 112, h - 6; მოხსენებები საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე ბოლო 6 წლის განმავლობაში - 8. კონკურსანტის მიერ საკონკურსო კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილი სტატია შეფასდა, როგორც მაღალ სამეცნიერო დონეზე შესრულებული და დარგთან სრულ შესაბამისობაში მყოფი ნაშრომი. სამოტივაციო წერილში მიმოხილულია კონკურსანტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა და განსაზღვრულია მისი შემდგომი განვითარების მიმართულებები. კონკურსანტის კვლევა და საგანმანათლებლო საქმიანობა მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან და მიზნად ისახავს მეცნიერთა მომავალი თაობის აღზრდას. შედეგად, საერთო შეფასება III კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით არის „მაღალი“.

IV კატეგორია (სხვა სახის აქტივობა - ბოლო 6 წელი): კონკურსანტის მიერ განხორციელებულია შემდეგი აქტივობები: 2020 - Journal of Thermal Stresses - სარედაქციო კომიტეტის წევრი, 2016 - მმართველი რედაქტორი ჟურნალში Transactions of A.Razmadze Mathematical Institute, 2016-2019 წლების მათემატიკის საერთაშორისო ოლიმპიადის ნაკრები გუნდის წევრების შესარჩევი ტურის სააპელაციო კომისიის თავმჯდომარე, 2024 - ამერიკის მათემატიკური საზოგადოების წევრი. ამდენად, საერთო შეფასება IV კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით არის „მაღალი“.

კონკურსანტების შეფასების პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ, დადგენილი პროცედურების დაცვით, შეფასების მეორე ეტაპი - გასაუბრება გაიმართა.

გასაუბრების ეტაპზე კომისიის წევრების მიერ პრეტენდენტებს დაესვა შეკითხვები მათი სამეცნიერო საქმიანობისა და სამომავლო სამეცნიერო გეგმების შესახებ, საგანმანათლებლო საქმიანობისა და წასაკითხად შემოთავაზებული ახალი სასწავლო კურსების შესახებ, და სხვა ისეთი კითხვები, რომლებიც დაკავშირებულია უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის შრომით და საგანმანათლებლო-სამეცნიერო საქმიანობასთან. კომისიის წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს პრეტენდენტებმა ამომწურავი პასუხები გასცეს. კომისიამ შეაფასა პრეტენდენტების პროფესიული უნარ-ჩვევები, დისკუსიაში ჩართულობა, გადმოცემისა და მსჯელობის კულტურა, ქცევისა და მეტყველების მანერა.

გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ პრეტენდენტების ანა დანელიასა და გივი ნადიბაიძის კანდიდატურები სრულ შესაბამისობაშია მათემატიკის დეპარტამენტის მათემატიკური ანალიზის კათედრაზე არსებული ასისტენტ პროფესორების ვაკანსიების (შესაბამისად, „ა“ და „ბ“ კატეგორიების) მოთხოვნებთან. ასევე, პრეტენდენტ რუსლან სურმანიძის კანდიდატურა სრულ შესაბამისობაშია მათემატიკის დეპარტამენტის ალგებრა-გეომეტრიის კათედრაზე არსებული ასისტენტ პროფესორის ვაკანსიის მოთხოვნებთან, ხოლო პრეტენდენტ მაია სვანაძის კანდიდატურა სრულ შესაბამისობაშია მათემატიკის დეპარტამენტის მექანიკის კათედრაზე არსებული ასისტენტ პროფესორის ვაკანსიის მოთხოვნებთან.

შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების ურთიერთშეჯერების საფუძველზე კონკურსის გამარჯვებულის გამოვლენის მიზნით ჩატარდა ფარული კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობას იღებდა სხდომაზე დამსწრე კომისიის ყველა წევრი.

მათემატიკის დეპარტამენტის მათემატიკური ანალიზის კათედრაზე ასისტენტ პროფესორის (კატეგორია „ა“) გამოცხადებულ ვაკანსიაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კომისიის ყველა დამსწრე წევრმა (ოთხი მომხრე, არცერთი წინააღმდეგი) ერთხმად დაუჭირა მხარი ანა დანელიას კანდიდატურას.

საკონკურსო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გამართლებულია მათემატიკის დეპარტამენტის მათემატიკური ანალიზის კათედრის, როგორც სამეცნიერო-სასწავლო ერთეულის, ფუნქციონირებისა და შემდგომი განვითარების მიზნებითა და ამოცანებით; გადაწყვეტილების მიღებისას კომისია დაეყრდნო კონკურსანტის აქტიური აკადემიური მოღვაწეობის, თსუ-ში მუშაობის სტაჟის, სასწავლო-მეთოდური მუშაობისა და სამეცნიერო აქტივობის შესახებ არსებულ მონაცემებს, ასევე იმას, რომ კონკურსანტი მიყავს საბაკალავრო პროგრამის ძირითადი სასწავლო კურსები. კომისიამ ასევე გაითვალისწინა კონკურსანტის პიროვნული თუ პროფესიული თვისებები და უნარ-ჩვევები.

მათემატიკის დეპარტამენტის მათემატიკური ანალიზის კათედრაზე ასისტენტ პროფესორის (კატეგორია „ბ“) გამოცხადებულ ვაკანსიაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კომისიის ყველა დამსწრე წევრმა (ოთხი მომხრე, არცერთი წინააღმდეგი) ერთხმად დაუჭირა მხარი გივი ნადიბაიძის კანდიდატურას.

საკონკურსო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება განპირობებულია მათემატიკის დეპარტამენტის მათემატიკური ანალიზის კათედრის, როგორც სამეცნიერო-სასწავლო

ერთეულის, ფუნქციონირებისა და შემდგომი განვითარების მიზნებითა და ამოცანებით; გადაწყვეტილების მიღებისას კომისია დაეყრდნო კონკურსანტის აქტიური აკადემიური მოღვაწეობის, როგორც თსუ-ში, ისე მის გარეთ, მესამე მისიის ფარგლებში, თსუ-ში მუშაობის სტაჟის, სასწავლო-მეთოდური მუშაობის არსებულ მონაცემებს. კომისიამ ასევე გაითვალისწინა კონკურსანტის პიროვნული თუ პროფესიული თვისებები და უნარ-ჩვევები.

მათემატიკის დეპარტამენტის ალგებრა-გეომეტრიის კათედრაზე ასისტენტ პროფესორის (კატეგორია „ა“) გამოცხადებულ ვაკანსიაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კომისიის ყველა დამსწრე წევრმა (ოთხი მომხრე, არცერთი წინააღმდეგი) ერთხმად დაუჭირა მხარი რუსლან სურმანიძის კანდიდატურას.

საკონკურსო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გამართლებულია მათემატიკის დეპარტამენტის ალგებრა-გეომეტრიის კათედრის, როგორც სამეცნიერო-სასწავლო ერთეულის, ფუნქციონირებისა და შემდგომი განვითარების მიზნებითა და ამოცანებით; გადაწყვეტილების მიღებისას კომისია დაეყრდნო კონკურსანტის აქტიური აკადემიური მოღვაწეობის, თსუ-ში მუშაობის სტაჟის, სასწავლო-მეთოდური მუშაობისა და სამეცნიერო აქტივობის შესახებ არსებულ მონაცემებს, ასევე იმას, რომ კონკურსანტი მიყავს საბაკალავრო პროგრამის ძირითადი სასწავლო კურსები. კომისიამ ასევე გაითვალისწინა კონკურსანტის პიროვნული თუ პროფესიული თვისებები და უნარ-ჩვევები.

მათემატიკის დეპარტამენტის მექანიკის კათედრაზე ასისტენტ პროფესორის (კატეგორია „ა“) გამოცხადებულ ვაკანსიაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კომისიის ყველა დამსწრე წევრმა (ოთხი მომხრე, არცერთი წინააღმდეგი) ერთხმად დაუჭირა მხარი მაია სვანაძის კანდიდატურას.

საკონკურსო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გამართლებულია მათემატიკის დეპარტამენტის მექანიკის კათედრის, როგორც სამეცნიერო-სასწავლო ერთეულის, ფუნქციონირებისა და შემდგომი განვითარების მიზნებითა და ამოცანებით; გადაწყვეტილების მიღებისას კომისია დაეყრდნო კონკურსანტის აქტიური აკადემიური მოღვაწეობის, სასწავლო-მეთოდური მუშაობისა და სამეცნიერო აქტივობის შესახებ არსებულ მონაცემებს. კომისიამ ასევე გაითვალისწინა კონკურსანტის პიროვნული თუ პროფესიული თვისებები და უნარ-ჩვევები.

კომისიამ ერთხმად დაადგინა:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მათემატიკის დეპარტამენტის მათემატიკური ანალიზის კათედრაზე ასისტენტ პროფესორის (კატეგორია „ა“) ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდეს პრეტენდენტი ანა დანელია.
2. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მათემატიკის დეპარტამენტის მათემატიკური ანალიზის კათედრაზე ასისტენტ პროფესორის

- (კატეგორია „ბ“) ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდეს პრეტენდენტი გივი ნადიბაიძე.
3. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მათემატიკის დეპარტამენტის ალგებრა-გეომეტრიის კათედრაზე ასისტენტ პროფესორის ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე (კატეგორია „ა“) გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა პრეტენდენტი რუსლან სურმანიძე.
 4. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მათემატიკის დეპარტამენტის მექანიკის კათედრაზე ასისტენტ პროფესორის ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე (კატეგორია „ა“) გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა პრეტენდენტი მაია სვანაძე.
 5. კომისიამ იმსჯელა უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ №118/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების წესის შესახებ და ერთხმად დაადგინა - შემაჯამებელი ოქმი გამოქვეყნდეს საჯაროდ უნივერსიტეტის ვებგვერდზე და დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

კომისიის წევრების ხელმოწერა

თარიღი 24.07.2024

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე:
პროფ. მალხაზ ბაკურაძე




კომისიის მდივანი
ასოც. პროფ. თინათინ დავითაშვილი



კომისიის წევრები:

პროფ. თამაზ თაღუმაძე



ასოც. პროფ. თენგიზ ხვედელიძე

